

შპს რიცეულაჰესი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 31 დეკემბერი, 2018
 ერთეული ლარი

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		317,696	79,245
სავაჭრო მოთხოვნები	5	584,208	180,012
გადახდილი ავანსები		-	8,021
მარაგები		68,069	118,705
სხვა მიმდინარე აქტივები	4	933,849	839,967
ძირითადი საშუალებები	3	1,573,599	1,690,626
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ აქტივები		<u>3,477,421</u>	<u>2,916,576</u>
სავაჭრო ვალდებულებები		69,647	69,656
საგადასახადო ვალდებულებები		7,225	-
სულ ვალდებულებები		<u>76,872</u>	<u>69,656</u>
კაპიტალი		363,546	363,546
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		3,037,003	2,483,374
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>3,400,549</u>	<u>2,846,920</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>3,477,421</u>	<u>2,916,576</u>

შპს რიცეულაჰესი
საქმიანობის შედეგი
31 დეკემბერი, 2018
ერთეული ლარი

2018 წელი

შემოსავალი

- | | |
|--------------------------|-----------|
| - საქონლის რეალიზაციიდან | 1,229,626 |
| - მომსახურების გაწევიდან | 305,085 |

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(637,099)
---------------------------------------	-----------

საერთო მოგება	897,612
----------------------	----------------

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(24,850)
--	----------

საპროცენტო შემოსავალი	96,396
-----------------------	--------

სხვა შემოსავალი	15,216
-----------------	--------

სულ საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	86,762
--	---------------

მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	984,374
--	----------------

მოგების გადასახადი	-
--------------------	---

მოგება/(ზარალი)	984,374
-----------------	----------------

მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	<u>984,374</u>
--	-----------------------

შპს რიცეულაჰესი
კაპიტალის მოძრაობა
31 დეკემბერი, 2018
ერთეული ლარი

1 იანვარი, 2018

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	2,846,920
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(430,745)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	984,374
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,400,549

31 დეკემბერი, 2018

შპს რიცეულაჰესი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2018
ერთეული ლარი

	2018 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	681,024
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(21,364)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(421,209)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	238,451
სავალუტო კურსის ეფექტი	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	79,245
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	317,696

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია:

შპს რიცეულაჰესი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, გაზაფხულის ქუჩა #18. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის გენერირება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით. მისი შეფასება ხდება წმინდა ღირებულებით, დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე. შემოსავალი იზომება, როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება.

ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

3. ძირითადი საშუალებები:

	ძირითადი საშუალებები
თვითღირებულება (ერთეული ლარი)	
1 იანვარი, 2018	2,703,958
31 დეკემბერი, 2018	2,715,486
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი, 2018	(1,013,332)
31 დეკემბერი, 2018	(1,141,887)
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი, 2018	1,690,626
31 დეკემბერი, 2018	1,573,599

ძირითადი საშუალებების ზრდა 2018 წელს ძირითადად გამოწვეულია მანქანა-დანადგარების შესყიდვით. ვინაიდან მოსალოდნელია, რომ არსებული ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

4. სხვა მიმდინარე აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივები, 2018 წელს, მოიცავს მშობელ კომპანიაზე, შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციაზე, გაცემულ სესხს.

გაცემული სესხის საკონტრაქტო თანხა 900,000 ლარი. წლიური საპროცენტო განაკვეთი: 11.3%.

2018 წლის ბოლოს დასაფარი ნაშთი (სესხის ძირი და დარიცხული პროცენტი) შეადგენს 933,849 ლარს.

2018 წლის განმავლობაში სესხის დაფარვა არ მომხდარა.

5. სავაჭრო მოთხოვნები:


კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მშობელი კომპანიისგან მისაღებ თანხას 554,513 ლარის ოდენობით. მოთხოვნა დაკავშირებულია ელექტროენერგიის მიწოდება და ქსელში გადაცემის მომსახურებასთან.

6. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

23 აგვისტო, 2019


ხელმოწერა
ბენიამინ იმედაშვილი
დირექტორი


ხელმოწერა
ნათელა ტყეშელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

5. სავაჭრო მოთხოვნები:

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მშობელი კომპანიისგან მისაღებ თანხას 554,513 ლარის ოდენობით. მოთხოვნა დაკავშირებულია ელექტროენერგიის მიწოდება და ქსელში გადაცემის მომსახურებასთან.

6. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

23 აგვისტო, 2019

ხელმოწერა

დირექტორი

ხელმოწერა

მთავარი ბუღალტერი